პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 103 (1013). | კვირა, 23 დეკემბერი. 1956 წ. | გამოცემის მე-13 წელი | ფასი 30 კაპ.

## სპორტული ზამთარი

ორ თვეზე მეტია, რაც მოსკოვში აღიმართა „ა" კლასის ჰოკეისტთა გუნდების ტრადიციული ჩემპიონატის ალამი. ამჟამად შეხვედრები გრძელდება ჩელიაბინსკში, ნოვოსიბირსკში და სვერდლოვსკში. ტურნირს ლიდერობს თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდი. როგორც ცნობილია, ამ კოლექტივის წევრთა უმრავლესობა შედის საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებში. ჩემპიონატში წარმატებით გამოდის დედაქალაქის კიდევ ორი გუნდი — „კრილია სოვეტოვ" და „დინამო". ბრძოლა ოქროს მედლებისათვის ძირითადად ამ სამ გუნდს შორის წარმოებს, თუმცა, ჯერჯერობით კარგ შედეგებს მიაღწია ჩელიაბინსკის „ავანგარდმაც" — 8 შეხვედრაში ურალელმა სპორტსმენებმა ყველა მოიგეს.

საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა პირველი ნაკრები ამას წინათ იყო პოლონეთში. რამდენიმე დღეა, რაც მოსკოვს ეწვია ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი — ჩეხოსლოვაკიის ნაკრები, რომელიც თითქმის მთლიანად ახალგაზრდა სპორტსმენებისაგანაა დაკომპლექტებული. ამ სიახლეს საკმაოდ დადებითი გავლენა იქონია გუნდის თამაშზე.

მომავალი წლის თებერვალში მოსკოვში დაიწყება მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. იმედია ჩვენი სპორტსმენები მაღალი მაჩვენებლებით გამოვლენ ამ შეჯიბრებაზე და შეინარჩუნებენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის საპატიო ტიტულს.

კრასნოიარსკსა და მოსკოვში გრძელდება საკავშირო პირველობა ბენ.თიან ჰოკეიში. ოდნავ მოგვიანებით შეხვედრები დაიწყება აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვა ღანარჩენ ქალაქებშიც: პეტროზავოდსკში, ლენინგრადში, არხანგელსკსა და კემეროვოში.

საინტერესო იქნება მოციგურავეთა სეზონი. ეს ნათლად გვიჩვენა სვერდლოვსკის „დინამოს" სტადიონზე მიცემულმა პირველმა სტარტებმა. მისასალმებელია, რომ ამ საკავშირო შეჯიბრებაში უკვე ცნობილ ოსტატებთან ერთად მაღალ კლასს აჩვენებენ ახალგაზრდები. ასე მაგალითად, არმიელმა მოციგურავემ გ. ვოროწინამ დაიკავა პირველი ადგილი 1.500-მეტრიან დისტანციაზე (2.18,7), ხოლო მოსკოველმა ინჟინერმა ვ. შილიკოვსკიმ მეორე ადგილი დაისაკუთრა 5-კილომეტრიან დისტანციაზე (8.26,8). ოთხი დისტანციის ჯამის მიხედვით მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოვის ერთ-ერთი არტელის ჩქაროსანი რ. ფროლოვა. დეკემბრის ბოლო რიცხვებში მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, გორკის, ომსკის, კიროვისა და სხვა ქალაქების საუკეთესო მოციგურავეები ერთმანეთს შეხვდებიან დედაქალაქის „დინამოს" სტადიონზე. მოციგურავეთა ყველაზე დიდი შეჯიბრება გაიმართება ჩელიაბინსკში. მასში მონაწილეობას მიიღებს რსფსრ-ს ქალაქებისა და ოლქების 45-მდე კოლექტივი. საკავშირო ჩემპიონატის მოწყობა განზრახულია სვერდლოვსკში.

ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოციგურავეები მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე მსოფლიო პირველობების გათამაშებაში, რომლებიც მოეწყობა ვაჟებისათვის — შვეციის ქალაქ ესტერსუნდეში, ქალებისათვის — დავოსში (შვეიცარია). ევროპის ჩემპიონატის ჩატარება განზრახულია ოსლოში.

## „პრაღის დიდი ჯილდო"

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში გათამაშდა კალათბურთელ ქალთა გუნდების ტრადიციული შეჯიბრება „პრაღის დიდ ჯილდოზე". შეჯიბრებაში მონაწილეობდა სხვადასხვა ქვეყნის 7 კოლექტივი — 2 გუნდი ჩეხოსლოვაკიიდან და თითო ბულგარეთიდან, პოლონეთიდან, საფრანგეთიდან, იუგოსლავიიდან და საბჭოთა კავშირიდან.

საბჭოთა კალათბურთის ღირსებას ამ შეჯიბრებაზე იცავდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სპორტსმენთა კოლექტივი. პირველ წრეში საბჭოთა კალათბურთელებმა ანგარიშით 72:57 დაამარცხეს ვარშავის კლუბი აზს-ავფ, შემდეგ ჩვენმა სპორტსმენებმა მოუგეს მატჩი „სპარტაკ-სოკოლოვს" (პრაღა) ანგარიშით 60:52. ფინალში საავიაციო ინსტიტუტის გუნდი დამარცხდა პრაღის მეორე კლუბთან „სლოვან-ორბისთან" შეხვედრაში — 70:83.

მაგრამ, ვინაიდან პრაღის კალათბურთელებმა თავის მხრივ დამარცხება განიცადეს სოფიის „უდარნიკისაგან", პირველი ადგილის გამოსავლინებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საავიაციო ინსტიტუტისა და „უდარნიკის" კალათბურთელების შეხვედრას. იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა სპორტსმენები მოიგებდნენ მატჩს 18 ქულით „პრაღის დიდი ჯილდო" მათი იქნებოდა. პირველი ადგილისათვის ჩვენს სპორტსმენებს დააკლდათ მხოლოდ 4 ქულა. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა მოიგო რა შეხვედრა 62:48 დაისაკუთრა მეორე ადგილი. პირველი ადგილი და ჯილდო გადაეცა პრაღის კლუბს „სლოვან-ორბისს".

## შევინარჩუნოთ მოპოვებული წარმატებები

მიმდინარე წელს შესამჩნევი გამოცოცხლება დაეტყო რესპუბლიკის საჭადრაკო ცხოვრებას. ჯერ იყო და ჩვენმა მოჭადრაკე ქალებმა გაგვახარეს — შესანიშნავ სტილში ჩაატარეს ნახევარფინალური ტურნირი და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს, სადაც ელისო კაკაბაძემ მეოთხე ადგილი დაიკავა, ხოლო ნონა გაფრინდაშვილმა და მანანა ტოგონიძემ, რომლებიც ასეთ დიდ ტურნირში პირველად მონაწილეობდნენ, მე-7, 8-9 ადგილები გაიყვეს. რესპუბლიკის ჭადრაკის მოყვარულების საოცნებო საგნად იყო გადაქცეული ვაჟთა ფინალში მონაწილეობა. ჩვენი მოჭადრაკეები შეუპოვრად იბრძოდნენ ნახევარფინალში, მაგრამ დიდ სარბიელზე — ფინალში ისინი ვერ გადიოდნენ. ასე გრძელდებოდა წლობით, მაგრამ აი, წელს ეს ზღვარიც გადალახულ იქნა — ბუხუტი გურგენიძემ ახლახან დამთავრებულ ტურნირში საჭირო ქულების დაგროვებით ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ამავე ტურნირში ნიჭიერმა მოჭადრაკემ ა. ბუსლაევმა სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.

როგორც ვხედავთ მიმდინარე წელი მეტად ნაყოფიერია. დაიმსხვრა ზოგიერთი ობივატელის აზრი, თითქოს ჭადრაკი ჩვენი საქმე არ არის, რომ ჭადრაკი სათანადოთ ფეხს ვერ მოიკიდებს საქართველოში და სხვ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იმ წრეში, სადაც ნონა გაფრინდაშვილი, ელისო კაკაბაძე, ბუხუტი გურგენიძე აღიზარდნენ, აუცილებლად სხვებიც მოიძებნებიან, შეიძლება არანაკლებ ნიჭიერები, არანაკლები გაქანების მქონე ახალგაზრდები.

ამისათვის რა არის საჭირო? ძებნა, მუშაობა ახალგაზრდებთან. მაგრამ ძებნა და მუშაობა მარტო თბილისში კი არ უნდა მიმდინარეობდეს, არამედ მთელს რესპუბლიკაში, მხოლოდ ასეთი გზით შეგვიძლია შევძინოთ რესპუბლიკას ნონა გაფრინდაშვილის მსგავსი მოჭადრაკეები.

ჭადრაკი ეს ისეთი სპორტია, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომია. მას არ სჭირდება დიდი მოედნები, ძნელად საშოვნი და ძვირი ინვენტარი. ჩვენ არ მოვითხოვთ იმას, რომ ყველა რაიონს ჰქონდეს საკუთარი საჭადრაკო კლუბი აუდიტორიით, სამეცადინო ოთახებით, მაგრამ ხომ შეიძლება რაიონის ცენტრში გამოიძებნოს ერთი ოთახი, რომელიც განკუთვნილი იქნება მხოლოდ მოჭადრაკეებისათვის, სადაც შესაძლებელი იქნება სპორტის ამ სახეობის მოყვარულთა თავმოყრა, ტურნირის ჩატარება, პარტიების გარჩევა და სხვ. თუ ბათუმს, სოხუმს, ფოთს, თელავს აქვს ასე თუ ისე კეთილმოწყობილი კლუბები, რატომ არ უნდა ჰქონდეს კლუბი ისეთ დიდ სამრეწველო ქალაქს, როგორიც ჭიათურაა. საჭადრაკო კლუბების სხვადასხვა დაწესებულებაზე გადაცემის ფაქტი, სამწუხაროდ, ხშირად გვხვდება და ისინი მეტყველებენ ადგილობრივი ხელმძღვანელობის საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებაზე. სხვათა შორის არც თბილისს აქვს შესაფერისი საჭადრაკო კლუბი, თუმცა ახლა განზრახულია ახალი კლუბის მშენებლობის დაწყება, რაც მნიშვნელოვნად განავითარებს ჭადრაკს საქართველოში.

მაგრამ შენობა თავისთავად არაფერს მოგვცემს, თუ არ გვეყოლა სათანადოდ მომზადებული მწვრთნელთა კადრი. სამწუხაროდ, მაღალკვალიფიციური მწვრთნელები რესპუბლიკაში თითზე ჩამოსათვლელია, რაშიც, პირველ რიგში დამნაშავეა ჭადრაკის რესპუბლიკური სექცია. ხოლო მწვრთნელთა საბჭოს მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად დღემდე არაფერი გაუკეთებია.

როდესაც მწვრთნელებზე ვლაპარაკობთ არ უნდა დაგვავიწყდეს სახელმძღვანელო ლიტერატურა. მშობლიურ ენაზე მხოლოდ სამი — ლასკერის, კაპაბლანკას და ეივეს წიგნები გვაქვს, რაც, რასაკვირველია, კარგია. მაგრამ, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ისინი საკმაოდ მოძველებულნი არიან. რესპუბლიკაში არიან ჭადრაკის მცოდნეები, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან სახელმძღვანელო ლიტერატურა, მაგრამ რატომღაც ეს საქმე ადგილიდან არ იძვრის. მეტად დიდი საქმე გაკეთდა სსრ კავშირის ნახევარფინალის მიმდინარეობის დროს — გამოვიდა საჭადრაკო ბიულეტენი. ეს პირველი ცდა იყო და უნდა ითქვას, რომ წარმატებით დამთავრდა. ახლა საჭიროა ეს გამოცდილება გამოვიყენოთ საქართველოს ქალთა და ვაჟთა პირველობის დროსაც ქართულ ენაზე გამოვცეთ ბიულეტენები.

მაგრამ თეორიული დონის ამაღლებასთან ერთად საჭიროა შეჯიბრებებში მონაწილეობა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შეჯიბრება სპორტსმენთა აღზრდის საუკეთესო სკოლაა, აქ ყალიბდება მისი მორალური სახე, აქ იფურჩქნება მისი ნიჭი. ქარხნული კოლექტივების საბჭოებმა, რაიონულმა კომიტეტებმა, რაც შეიძლება მეტი სხვადასხვა სახის შეჯიბრებები უნდა ჩაატარონ, ხოლო რესპუბლიკურმა სექციამ დროა ხელი გამოიღოს, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი შეაწუხოს და იზრუნოს მოძმე რესპუბლიკასთან ამხანაგური მატჩების ჩატარებაზე და, რაც მთავარია, მოწვეული ოსტატებით ტურნირების მოწყობაზე. აქ გვინდა დავძინოთ, რომ მიმდინარე წლის ქალთა რესპუბლიკური პირველობაზე შემადგენლობის გაძლიერების მიზნით ოსტატების მოწვევამ მეტად კარგი ნაყოფი გამოიღო. ეს სასარგებლო ღონისძიება, მართალია სახსრების ხარჯვასთანაა დაკავშირებული, მაგრამ შემდეგშიც უნდა გავატაროთ.

ჭადრაკი ესთეტიკური, მეტად მიმზიდველი სპორტია. იგი ყოველმხრივი ყურადღების ღირსია.



ამას წინათ თბილისში მოეწყო ამხანაგური შეხვედრა მინსკისა და თბილისის მოკრივეთა გუნდებს შორის. პირველ მატჩში გამოვიდნენ ამ ქალაქების უძლიერესი მოკრივეები. საინტერესო ბრძოლების შემდეგ მატჩი მოიგეს თბილისელებმა — 15:14. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მოკრივეებიდან გაიმარჯვეს ლ. აბდულაძემ, კ. ზუმბაშვილმა, გ. მუხაძემ, გ. დარბაისელმა, თ. მიქაელიანმა. სტუმრების გუნდს გამარჯვების ქულები მისცეს ი. მურნატოვმა, ა. ზასუხინმა, ე. აბაკუმოვსკიმ და ი. პრუპსმა, რომლებმაც დაამარცხეს ი. შეპეტკოვი, შ. ხუდოიანი, ზ. კოზაევი და ე. სტეპანოვი. მძიმე წონაში კ. ბაბახანიდი-ვ. ტარასენკოს მატჩი შეუფასებელი დარჩა.

მეორე დღეს თბილისის გუნდმა კვლავ მიაღწია გამარჯვებას ანგარიშით 16:14.

* * *

სურათზე: გ. დარბაისელის იერიში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

### ჩინეთი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენები ატარებენ საჩვენებელ გამოსვლებს. უხანში გამართული შეჯიბრების შემდეგ რესპუბლიკის ძალოსანთა ნაკრები გუნდი გამოვიდა შანხაიში. კვლავ მაღალი ოსტატობა აჩვენა უმჩატესი წონის ძალოსანმა მსოფლიო რეკორდსმენმა ჩენ ძინ-კაიმ. მან აჰკრა 135,5 კილოგრამი და სამჭიდის ჯამში 320,5 კილოგრამის მოგროვებით დაამყარა რესპუბლიკის ახალი რეკორდი.

შანხაის ერთ-ერთ 25-მეტრიან საცურაო აუზში ჩატარდა მოცურავეთა შეჯიბრება. ყურადღების ცენტრში იყო 200 მეტრზე ბრასის სტილით გაცურვა, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოში მეორე ბრასისტი მუ სიან-სიუნი და მისი მუდმივი სპორტული მეტოქეები ცი ლე-იუნი და სიუ ჩეი-სიანი. მუ სიან-სიუნმა საგრძნობლად ჩამოიტოვა მეტოქეები და დისტანცია დაფარა 2 წუთსა და 31,1 წამში.

### ჩეხოსლოვაკია

ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურთან დაკავშირებით, რომელიც უდიდესი მოვლენა იყო საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხების ძმური თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებაში, ჩეხოსლოვაკიაში სტუმრად იყო საბჭოთა კავშირის ჰოკეისტთა მეორე ნაკრები გუნდი. პირველი მატჩი ჩვენმა სპორტსმენებმა გამართეს ქალაქ პლზენში ადგილობრივ „სპარტაკთან" და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 10:4. მეორე მატჩი შედგა ქალაქ ხომუტოვოში „ბანიკთან". დაძაბული ბრძოლა დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა მეორე ნაკრებთან შეხვედრაში კვლავ სტუმრებმა გაიმარჯვეს — 11:2, ხოლო უკანასკნელ მატჩში საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 9:1 დაამარცხეს კარლოვი ვარის „დინამო".

### ბულგარეთი

ბულგარეთში დამთავრდა ფეხბურთის სეზონი. რესპუბლიკის 1956 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა სახალხო არმიის ცენტრალური სახლის გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდა სოფიის „დინამო".

დამთავრდა აგრეთვე ყველაზე მასობრივი ტრადიციული სპორტული შეჯიბრება — საბჭოთა არმიის თასის გათამაშება ფეხბურთში. ეს პრიზი ბულგარელ სპორტსმენებს საჩუქრად გადასცა საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდმა 1946 წელს. მას შემდეგ იგი თამაშდება როგორც გარდამავალი ჯილდო. წელს თასის მე-11 გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო 7.000-მა გუნდმა.

სოფიის სტადიონზე 45 ათასი მაყურებლის თანდასწრებით ერთმანეთს შეხვდნენ ფინალისტები — სოფიის „დინამო" და სახალხო არმიის პლოვდივის სპორტული კლუბის ფეხბურთელები. ანგარიშით 5:2 გაიმარჯვეს დინამოელებმა. მათ უკვე მეხუთედ მოიპოვეს ეს საპატიო ჯილდო.

## მეტიუზი კვლავ ინგლისის ნაკრებშია

ამას წინათ ქალაქ ბელფასტში (ჩრდილოეთ ირლანდია), გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ჩრდილოეთ ირლანდიისა და ინგლისის ნაკრებ გუნდებს შორის.

ინგლისის ნაკრებში მარჯვენა გარემარბად კვლავ თამაშობდა განთქმული ფეხბურთელი სტენლი მეტიუზი, რომელიც ამჟამად 41 წლისაა. ერთადერთი ბურთი ჩრდილოეთ ირლანდიის კარში გატანილ იქნა სწორედ მეტიუზის მიერ.

მელბურნი. ოლიმპიური თამაშები. ტანვარჯიშში საბჭოთა სპორტსმენებმა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ვიქტორ ჩუკარინი, მარცხნივ იაპონელი ტ. ონო.

ფოტო ვ. ეგოროვისა.



# შენარჩუნებული ჩემპიონობა

## საქართველოს პირველობა მაგიდის ჩოგბურთში

ქუთაისში ჩატარდა საქართველოს 1956 წლის პირად-გუნდური პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, რუსთავისა და ტყვარჩელის გუნდები. გაურკვეველი მიზეზების გამო შეჯიბრებაში მონაწილეობას თავი მოარიდეს გორის, ბათუმის, ფოთის წარმომადგენლებმა.

ჩემპიონატში კარგად მომზადებული გუნდი გამოიყვანა თბილისმა, რომელმაც დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი. მეორე ადგილი წილად ხვდა ქუთაისის ახალგაზრდულ კოლექტივს, ხოლო მესამე — რუსთავის გუნდს.

ბრძოლამ პირადი პირველობისათვის ასეთი შედეგები მოგვცა: ვაჟთა შორის ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისელმა რ. კუდაშვილმა, რომელმაც თანაბარი სიძლიერით ჩაატარა ყველა შეხვედრა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ დ. ასლანიანი და ვ. ლარიბაშვილი. ქალთა შორის უძლიერესის სახელი შეინარჩუნა რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონმა თბილისელმა ი. იზაშვილმა. მეორე ადგილი ორი წაგებით წილად ხვდა სსრ კავშირის გასული წლის ჩემპიონის გოგონათა შორის ე. ხანთაძეს.

საინტერესო ბრძოლის შემდეგ ვაჟთა წყვილების შეხვედრაში გაიმარჯვეს თბილისელებმა რ. კუდაშვილმა და ვ. ლარიბაშვილმა. მათ მესამე გადამწყვეტ პარტიაში დაამარცხეს მეორე საპრიზო ადგილზე გამოსული ქუთაისელები ბ. ნაცვლიშვილი და რ. ბალაბუდოვი. ქალთა წყვილების შეხვედრაში კონკურენციის გარეშე იყვნენ თბილისელები ი. იზაშვილი და ე. ხანთაძე. შერეულ წყვილთა შორის ჩემპიონები გახდნენ რ. კუდაშვილი და ე. ხანთაძე.

**ე. ჩიკვაიშვილი,**
გათამაშების მსაჯი.

# სამკურნალო ფიზკულტურა პოლიომიელიტის მკურნალობის სხვა მეთოდებთან ერთად

ცნობილია, რომ პოლიომიელიტი წარმოადგენს მძიმე დაავადებას, რომელსაც უმთავრესად ჯერ კიდევ ახალგაზრდა ასაკის ადამიანები მიჰყავს ინვალიდობამდე დამბლის განვითარების გამო.

სამოძრაო ორგანოების დაზიანება ამ დაავადების დროს მრავალფეროვან სურათს იძლევა. დამბლა შეიძლება განვითარდეს ერთ ან რამდენიმე კუნთში და დააზიანოს ერთი ან რამდენიმე კიდური. ყველაზე ხშირად ზიანდება ქვემო კიდურები, უფრო იშვიათად კი ზემო კიდურები. იქმნება ყოველგვარი პირობა ხერხემლის სვეტის ფუნქციის დარღვევისათვის, რასაც თან სდევს სხვადასხვა ხარისხის სკოლიოზები (ხერხემლის გამრუდება და სხვა).

პოლიომიელიტისაგან შემორჩენილ მოვლენებთან ბრძოლის საკითხში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამკურნალო ფიზკულტურას, როგორც ნერვ-კუნთოვანი სისტემის აღდგენის ერთერთ აქტიურ საშუალებას. იგი აუმჯობესებს კუნთების ტონუსს, აადვილებს სამოძრაო ჩვევების გამომუშავებას და ნერვ-კუნთოვანი სისტემა მოჰყავს წონასწორობაში.

ფიზიკური ვარჯიშებით მკურნალობა ავადმყოფს ენიშნება ანთების მწვავე მოვლენების დაცხრომისთანავე და შესვენებით გრძელდება მანამდე, ვიდრე დაკარგული სამოძრაო ფუნქციები არ აღდგება. ვარჯიშთა შერჩევის დროს ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ მდგომარეობას: როდესაც დამბლასთან ერთად ადგილი აქვს კუნთების ტონუსის დაქვეითებას, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ვარჯიშები დაჭიმულობაზე. ამ დროს მოძრაობა არ უნდა აღემატებოდეს ფიზიოლოგიურ ნორმებს. სამკურნალო ტანვარჯიშის პროცედურა უნდა იყოს ხანმოკლე და ხშირი. უნდა დავიწყოთ ჯანმრთელ კიდურებიდან, შემდეგ იგივე ვარჯიშები ჩავატაროთ პასიურად დაზიანებულ კიდურებზე.

როდესაც დამბლიან კუნთებში მოძრაობის ნიშნები წარმოიშვება, მაშინ თანდათან უნდა გადავიდეთ აქტიურ მოძრაობებზე. კუნთებში ძალის მომატებასთან ერთად გადავდივართ ვარჯიშებზე წინააღმდეგობით; თუ ავადმყოფი საერთო აბაზანას იღებს, სასურველია სამკურნალო ტანვარჯიში ჩაუტარდეს აბაზანაშივე. აქტიური მოძრაობები წყალში, შეიძლება შევნიშნოთ ყველაზე ნაადრევად. წყალში მოძრაობები უფრო ადვილად სრულდება, ვიდრე წყლის გარეთ. დაავადებული კიდური მოთავსებული წყალში მჩატდება, ავადმყოფს ეძლევა საშუალება შეასრულოს ისეთი მოძრაობები, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში მას არ შეეძლო, ხოლო ასეთის შესრულება კი ამხნევებს და გამოჯანმრთელების იმედს უნერგავს.

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, პოლიომიელიტით დაავადებულებზე ძლიერ კარგ შედეგს იძლევა წყალტუბოს აბაზანები და მასში წარმოებული სამკურნალო ტანვარჯიში.

მაგალითისათვის მოგვყავს პოლიომიელიტის დროს მკურნალობის (I და II პერიოდისათვის) სანიმუშო ვარჯიშთა კომპლექსი.

1. ზურგზე წოლილა — ხელები ტანს გასწვრივ, ფეხები ერთად, ღრმა და მშვიდი სუნთქვა 3–4-ჯერ.

2. იგივე — ხელები ტანს გასწვრივ ხელის გულებით ზევით, ფეხები ოდნავ განზიდულია. ერთდროულად ხელის თითებისა და ჯანმრთელი ტერფის მოხრა და გაშლა (ავადმყოფი ცდილობს აწარმოოს დამბლიანი ფეხის ტერფის ისეთივე მოძრაობა, როგორც საღ კიდურში) საშუალო ტემპით 8–10-ჯერ. სუნთქვა ნებისმიერია.

3. იგივე — ხელები ტანს გასწვრივ, ფეხები ერთად. თავის უკან გადახრა გულმკერდის გაზნექასთან ერთად — შესუნთქვა, საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, ამოსუნთქვა. ნელი ტემპით 3–4-ჯერ.

4. იგივე — გამართული ფეხებით. ავადმყოფს დამბლიან ტერფზე გაკეთებული აქვს მარყუჟი — აწარმოებს ტერფის ზურგისაკენ გაშლას, ხოლო ქვემოთ აქტიურ მოხრას, საშუალო ტემპით, 6–8-ჯერ.

5. იგივე — ხელები ტანს გასწვრივ, ხელის გულები ქვემოთ. ფეხები გამართულია. რიგ-რიგობით ფეხის მოხრა და გაშლა მუხლისა და მენჯბარძაყის სახსარში. (საღი კიდურის ან მეთოდისტის დახმარებით აწარმოებს დამბლიანი კიდურის მოხრას და გაშლას). ნელი ტემპით 3–4-ჯერ.

6. ჯდომი — ხელები მკერდის წინ ხელის გულები ქვემოთ, იდაყვები მხრების სიგანეზე—ღუნგანმკლავი. ბეჭების ერთმანეთთან მიახლოებით—შესუნთქვა; საწყის მდგომარეობაში დაბრუნება, ამოსუნთქვა. ტემპი ნელი. 4–5-ჯერ.

7. იგივე — ხელები მუხლებზე, ფეხები ერთად. რიგ-რიგობით ფეხების აწევა თითის წვერებზე იატაკიდან მოუშორებლივ. საშუალო ტემპით 6–8-ჯერ თვითეული ფეხით. (დამბლიანი ფეხით ცდილობს აწარმოოს ჯანმრთელი კიდურის მსგავსი მოძრაობა).

8. იგივე — ხელების დაყრდნობით სკამის კიდეზე, ფეხები ერთად იატაკზე. სრიალით ფეხების განზიდვა და მოზიდვა. (დამბლიანი კიდურით ცდილობს აწარმოოს იგივე მოძრაობა, როგორც ჯანსაღი კიდურით). ნელი ტემპი. 4–6-ჯერ თვითეული კიდურით.

9. იგივე — ხელები დაყრდნობილია მუხლებზე. ფეხები გამართული და ოდნავ განზიდული, წინზნექი ხელების სრიალით ქვემო კიდურებზე — ამოსუნთქვა; საწყის მდგომარეობაში დაბრუნება — შესუნთქვა, ნელი ტემპით, 3–4-ჯერ.

10. იგივე — ხელები მუხლებზე, წვივები სწორი კუთხით აქვს მოხრილი მუხლის სახსარში — მუხლების განზიდვა და მოზიდვა წინააღმდეგობით ტერფების იატაკიდან მოუწყვეტლივ, საშუალო ტემპით, 4–6-ჯერ, სუნთქვა ნებისმიერია.

11. იგივე — ხელები თავს უკან, თითები ერთმანეთში აქვს ჩაჭდობილი, იდაყვები თავს წინ; იდაყვების განზიდვა, შესუნთქვა, საწყის მდგომარეობაში დაბრუნება — ამოსუნთქვა. ნელი ტემპით, 3–4-ჯერ.

12. იგივე — ხელები დოინჯში, ფეხები ერთად, ტანის ბრუნება მარჯვნივ და მარცხნივ ზემო კიდურის განმკლავი. 3–4-ჯერ თვითეულ მხარეს, საშუალო ტემპით, სუნთქვა ნებისმიერია.

13. იგივე — ხელები დაშვებულია, ფეხები ერთად, ადგომა და დაჯდომა, საშუალო ტემპით, 4–5-ჯერ.

14. იგივე — ხელების დაყრდნობით სკამის კიდეზე, ავადმყოფი ორთავე ტერფებით სამედიცინო ბურთზე (2 კგ. წონის) დაბჯენით აწარმოებს მოძრაობას წინ და უკან, ტემპი საშუალო, 6–8-ჯერ.

15. იგივე — ხელები ტანს გასწვრივ, ფეხები ერთად. აწარმოებს გვერდითი ზემკლავს — შესუნთქვა, ხელების მოდუნებულად დაშვება — ამოსუნთქვა. ნელი ტემპით, 3–4-ჯერ.

16. წოლილა — ხელები ტანს გასწვრივ, ფეხები ერთად. ღრმა სუნთქვა გახანგრძლივებული ამოსუნთქვით — 3–4-ჯერ. პროცედურის ხანგრძლივობა 25–30 წუთი.

**შ. ნუცუბიძე,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

# სტუმრად მეგობრებთან

დღითი დღე მტკიცდება და ძლიერდება გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის და კიროვაბადის ჰასანბეგ ზარდაბის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა მეგობრობა, რომელსაც საფუძველი თვენახევრის წინ ჩაეყარა, როცა კიროვაბადელები ოქტომბრის რევოლუციის 39 წლისთავის დღეებში გორში ჩამოვიდნენ, ხოლო გორელები კიროვაბადს ესტუმრნენ.

ამ რამდენიმე დღის წინათ ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად გორის პედინსტიტუტის კლასიკურ მოჭიდავეთა გუნდი ეწვია კიროვაბადელ კოლეგებს.

შეჯიბრება ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტდარბაზში. შეხვედრების დაწყებამდე მოეწყო პარადი, ვიმპელებისა და თაიგულების გაცვლა. ხალიჩაზე პირველი გამოვიდნენ უმძიმესი წონის მოჭიდავეები ვ. ლობჟანიძე და რ. ბაბაევი. გაიმარჯვა ბაბაევმა.

მსუბუქ წონაში გორელმა ნ. ნებიერიძემ 8 წუთსა და 40 წამში დაამარცხა ა. ზეინალოვი. ქვემსუბუქ წონაში აზერბაიჯანის ჩემპიონმა რ. რაფიევმა დამარცხება განიცადა გ. ნავროზაშვილთან. ქვესაშუალო წონაში გორელთა გუნდს მორიგი სუფთა გამარჯვება მოუტანა რ. ჯორჯაძემ, რომელმაც 2 წუთი და 45 წამი მოანდომა ჰ. აბასოვის დამარცხებას. ამავე წონით კატეგორიაში გ. ნებიერიძემ სუფთად მოუგო გ. გაჯიევს.

საშუალო წონაში პირველთანრიგოსნების ი. ციმაკურიძისა და მ. მამედოვის შეხვედრა დამთავრდა ციმაკურიძის სუფთა გამარჯვებით. კ. უნდილაშვილმა (ქვემძიმეწონა) დამარცხება განიცადა ი. ალიევთან.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს გორელმა სპორტსმენებმა.

მეორე დღეს დავათვალიერეთ ინსტიტუტის კაბინეტ-ლაბორატორიები, სპორტული ბაზები, ვინახულეთ ქალაქის საწარმოები და ნიზამი განჯელის მავზოლეუმი.

**ე. ბუთხუზი,**
გორის პედინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

# შეასრულა ოსტატის ნორმა

თბილისში ჩატარდა „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირადი და თბილისის რაისაბჭოს პირად-გუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ბათუმისა და სოხუმის საუკეთესო სპორტსმენები პირველი და ოსტატთა თანრიგით.

სამდღიანი ასპარეზობის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდა მე-9 რაისაბჭოს კოლექტივი, რომელმაც 538,05 ქულა მოაგროვა. II და III ადგილები დაიკავეს მე-6 და მე-11 რაისაბჭოს კოლექტივებმა.

თბილისის პირველობაზე მესამე თანრიგში ვაჟთა შორის გაიმარჯვა ლ. პოპოვმა, მეორე თანრიგში — ნ. კაფიევმა. ქალთა შორის უძლიერესები იყვნენ ნ. ნაზაროვა (მესამე თანრიგში) და ო. ვასილიევა (მეორე თანრიგში).

საინტერესო ბრძოლა გაიმართა პირველთანრიგოსანთა და ოსტატთა შორის. პირველ თანრიგში თავიდანვე დაწინაურდა სოხუმელი ჰ. ხალათოვა. მას ოდნავ ჩამორჩებოდნენ თანაგუნდელი ე. გოგუაძე და თბილისელი დ. გოგელიანი. უკანასკნელ იარაღზე მაღალი შეფასება დაიმსახურა გოგუაძემ და პირველი ადგილი მოიპოვა, ხალათოვა გამოვიდა მეორეზე, ხოლო გოგელიანი — მესამეზე.

ვაჟთა შორის ამ თანრიგში თბილისელმა მ. ალადიძემ მოაგროვა რა 104,3 ქულა, ჩემპიონობა მოიპოვა. სოხუმელმა ა. კიზირიანმა და თბილისელმა ლ. გრუშმა დაიკავეს მეორე და მესამე ადგილები.

ოსტატთა შორის პირველობა თამაშდებოდა მხოლოდ ნებისმიერ ვარჯიშებში. კომპლექსურ ჩათვლაში რ. კაჭახიძემ 60 შესაძლებლიდან 54,9 ქულის მოგროვებით შეძლო გამარჯვების მოპოვება. მან პირველი ადგილი დაიკავა ღერძზე და თავისუფალ ვარჯიშში.

მეორე ადგილი წილად ხვდა რ. პერტენავას. მან ყველას აჯობა ორძელზე, რგოლებზე, ტაიჭზე და ბჯენით ხტომებში. იგი შეჯიბრებაში მონაწილეობდა სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამით და პირველად მოაგროვა სპორტის ოსტატის ნორმა. მესამე ადგილი წილად ხვდა გ. ბურჯანაძეს.

ქალთა შორის ძელზე და ბჯენით ხტომებში გაიმარჯვა ტ. კომისარენკომ. მასვე მიეკუთვნა ჩემპიონობაც. ლ. შიროკაია პირველი იყო ორძელზე და თავისუფალ ვარჯიშში.

მიუხედავად იმისა, რომ განაცხადი დროულად წარმოადგინეს, შეჯიბრებაზე არ ჩამოვიდა ქუთაისის არცერთი წარმომადგენელი.

**თ. სისორდია**

# სკოლათა შორის

დამთავრდა თბილისის საშუალო სკოლების პირველობა მძლეოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდა სამი ასაკობრივი ჯგუფის 3.000 მოსწავლე. სკოლებს შორის საერთო პირველი ადგილი დაიკავა 65-ე საშ. სკოლის ფიზკულტურელებმა, მეორე ადგილზე გამოვიდა 27-ე სკოლა.

**ი. ხაბეიშვილი**




# ერთიანი კოლექტივი

კიროვის რაიონში ჩამოყალიბდა განათლების მუშაკთა ფიზკულტურის ერთიანი ძირეული კოლექტივი. ამასთან დაკავშირებით აქ გაიმართა სარაიონო პირველობა ჭადრაკსა და სროლაში, რომელშიც მონაწილეობდა 60-მდე სპორტსმენი. ჭადრაკში $15^1/_2$ ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა 65-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ა. ცერაძე. მეორე საპრიზო ადგილი წილად ხვდა განათლების განყოფილების მუშაკს მ. მახაშვილს, რომელმაც 14 ქულა დააგროვა.

რაიონის ტირში ორი კვირის განმავლობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდა 40 სპორტსმენი მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა 72-ე სკოლის კოლექტივმა. მეორე ადგილზე არიან 67-ე სკოლის წარმომადგენლები.

აღნიშნულ პირველობაზე 15-მა სპორტსმენმა შეასრულა სათანრიგო ნორმატივები.

**უ. ჭანჭალეიშვილი**

„ლ ე ლ ო"
მე-2 გვ. № 103 (1013)



ნახ. შ. ვადბოლსკისა

ფინალისაკენ!

როგორც უკვე ცნობილი გახდა, საბჭოთა კავშირის XXIV საჭადრაკო პირველობის ფინალში ითამაშებენ: **თბილისის ნახევარფინალიდან:** გროსმაისტერები: პეტროსიანი (მოსკოვი), კორჩნოი (ლენინგრადი), ოსტატები: ანტოშინი (მოსკოვი), ფურმანი (ლენინგრადი), გურგენიძე (თბილისი), ტალი (რიგა).

**ლენინგრადის ნახევარფინალიდან:** გროსმაისტერები: სპასკი და ტოლუში (ლენინგრადი), ოსტატები: ხასინი (მოსკოვი), კლამანი (ლენინგრადი), არონინი (მოსკოვი ოლქი). მეექვსე მონაწილე ამ ჯგუფიდან გამოვლინდება ოსტატების მიკენასსა (ვილნიუსი) და სტოლიარს (ლენინგრადი) შორის დამატებით მატჩში.

**ხარკოვის ნახევარფინალიდან:** გროსმაისტერი ბოლესლავსკი (მინსკი), ოსტატები: ნეჟმეტდინოვი (ყაზანი), ხოლმოვი (ვილნიუსი), ბანიკი (კიევი), ოსტატობის კანდიდატები: ტარასოვი (ომსკი), არანსონი (ლენინგრადი).

ფინალში პერსონალურად ითამაშებენ გროსმაისტერები საბჭოთა კავშირის 1955 წლის ჩემპიონი მ. ტაიმანოვი, პ. კერესი და დ. ბრონშტეინი.

# ტურნირი დამთავრდა

თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში დამთავრდა საბჭოთა კავშირის XXIV საჭადრაკო პირველობის ნახევარფინალი. ამ ტურნირისადმი დიდი ინტერესი გამოწვეული იყო იმით, რომ, მასში მონაწილეობდნენ საერთაშორისო კლასის მოჭადრაკეები — გროსმაისტერები პეტროსიანი, კორჩნოი, ოსტატები ფურმანი, ანტოშინი და მზარდი, კარგი მომავლის მქონე ახალგაზრდობა.

დასაწყისში ტურნირზე მშვიდობიანი განწყობილება სუფევდა, პარტიების უმრავლესობა ყაიმით მთავრდებოდა. სამაგიეროდ ფინიშზე მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა იხილა ვული. ბევრ მათგანს დიდხანს არ დაავიწყდება გურგენიძის ბრწყინვალედ მოგებული პარტია პოლუგაევსკისთან, ან ტალის ჩუკაევისათვის ლაზიერის შეწირვით გამოწვეული მღელვარება.

ნელა, მაგრამ დამაჯერებლად, წინ მიიწევდნენ პეტროსიანი, ფურმანი, კორჩნოი და ანტოშინი. უკვე XIV ტურისათვის ნათელი იყო რომ ეს ოთხეული ასე წარმატებით დაამთავრებდა შეჯიბრებას და ფინალში გავიდოდა.

დანარჩენი ორი ადგილისათვის, რომელიც ფინალში მოხვედრის უფლებას იძლეოდა, დიდი ბრძოლები იყო მოსალოდნელი. ამ ადგილებისათვის პრეტენზიებს აცხადებდნენ ოსტატები კროგიუსი, კოტკოვი, გურგენიძე, პოლუგაევსკი, ტალი, კობლენცი და იუხტმანი. მათი პარტიები დასკვნით ტურებში ალსავსე იყო შინაარსიანი, მძაფრი ჭიდილით. გურგენიძემ და ტალმა დაისაკუთრეს ეს ორი ადგილი.

მართალია, ტურნირმა გამოავლინა ფინალში გამსვლელთა ექვსეული, მაგრამ შეჯიბრებაზე კიდევ იყო ორი „გამარჯვებული“. ოსტატობის კანდიდატებმა ბუსლაევმა და აზერბაიჯანელმა ჰალილბეილიმ შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმა. სხვათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ ჰალილბეილი პირველი აზერბაიჯანელი მოჭადრაკეა, რომელმაც მოიპოვა სპორტის ოსტატობა.

ახლა, როდესაც დამთავრდა ესოდენ საინტერესო შეჯიბრება, შეიძლება გაკეთდეს ზოგიერთი დასკვნა — საქართველოს საჭადრაკო ორგანიზაციის ორმა წარმომადგენელმა თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა. ახალგაზრდა ოსტატმა ბუხუტი გურგენიძემ აუსრულა რესპუბლიკის ჭადრაკის მოყვარულებს სანუკვარი ოცნება. იგი მიიღებს მონაწილეობას საბჭოთა კავშირის ფინალურ ტურნირში.

ნახევარფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობდა აგრეთვე თბილისელი ოსტატობის კანდიდატი თ. გიორგაძე, რომელიც ამ შეჯიბრებისათვის მოუმზადებელი იყო.

ტურნირის მსვლელობაში გამოდიოდა საჭადრაკო ბიულეტენი (რედაქტორი მ. კაკაბაძე), რომელიც ფართოდ აშუქებდა გამართულ ბრძოლას და ხელს უწყობდა ჭადრაკის მოყვარულებს გათამაშებული პარტიების გაცნობაში.

ფინალური ტურნირი გაიმართება მოსკოვში 1957 წლის 20 იანვარს.

**ნ. ალავიძე**

# ოსტატი



ა. ბუსლაევი

ახლახან თბილისში დამთავრებულ საბჭოთა კავშირის XXIV საჭადრაკო პირველობის ნახევარფინალურ ტურნირში თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა ალექსანდრე ბუსლაევმა მოაგროვა სპორტის ოსტატის წოდების მიღებისათვის ქულათა საჭირო რაოდენობა.

ალექსანდრე ბუსლაევი დაიბადა 1929 წელს. პირველი სპორტული თანრიგი ა. ბუსლაევმა მოიპოვა 1945 წელს, ხოლო 1949 წელს ოსტატობის კანდიდატობა. ნიჭიერი მოჭადრაკე აქტიურად მონაწილეობს ჩვენი რესპუბლიკის საჭადრაკო ცხოვრებაში. იგი 1948 წლიდან საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის წევრია.

თავის დროზე მუყაითი მუშაობით ა. ბუსლაევი 1952 წლიდან თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს. 1952, 1955 და 1956 წლებში იგი თბილისის ჩემპიონია, ხოლო 1954 წელს საქართველოს ჩემპიონი.

დიდი ალმაფლობით იბრძოდა ა. ბუსლაევი დამთავრებულ ნახევარფინალში. მან კარგად დაიწყო ტურნირი: მოუგო პარტიები ოსტატებს კასპარიანსა და ანტოშინს და ლიდერთა ჯგუფში იყო. მაგრამ შუა ბრძოლაში რამდენიმე პარტიის წაგების მიუხედავად მან მტკიცედ ითამაშა ფინიშზე და მოაგროვა ოსტატობის მისაღებად საჭირო 10 ქულა.

1952 წელს ახალგაზრდა მოჭადრაკემ წარმატებით დაამთავრა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. ა. ბუსლაევი ჩვენს რესპუბლიკაში მეხუთე ოსტატია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონატის ყველაზე უფროსი და ყველაზე უმცროსი მონაწილის პარტია

## საქართველოს მოჭადრაკე ქალები საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში

## ბ. გურგენიძე—გათამაშების ფინალში

# შედეგები დღეისათვის კარგია

**საუბარი მწვრთნელ ვახტანგ ქარსელაძესთან**



დნეპროპეტროვსკის საზოგადოებრიობამ საბჭოთა კავშირის ქალთა XVIII საჭადრაკო ჩემპიონატის სხვა მონაწილეებთან ერთად გულთბილად მიიღო საქართველოს წარგზავნილები ნ. გაფრინდაშვილი, ე. კაკაბაძე და მ. ტოგონიძე. განსაკუთრებული სიმპატიით სარგებლობდა ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე ნ. გაფრინდაშვილი, რომელსაც ადგილობრივი ჭადრაკის მოყვარულნი უკვე კარგად იცნობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლის ქარ-ცეცხლში ჩვენს მოჭადრაკეებს ცალკეული წარუმატებლობა ჰქონდათ, ტურნირი მათ მაინც დამაკმაყოფილებელი შედეგებით დაამთავრეს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს ჩემპიონატი ჩვენი ქალიშვილებისათვის იყო საკუთარი ძალების შემოწმება, რადგან მომავალი წლის ჩემპიონატი უკვე იქნება მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა ტურნირის შესარჩევი შეჯიბრება.

რა შეიძლება ითქვას ჩვენი მოჭადრაკეების თამაშებისა და შედეგების შესახებ.

დიდია ელისო კაკაბაძის წარმატება (IV ადგილი). ტურნირის მონაწილეების საერთო აზრით შემოქმედების მხრივ იგი ოსტატ ლ. ვოლპერტთან ერთად ყველაზე მაღლა იდგა. საკმარისია ითქვას, რომ ელისომ მოიპოვა სამი სპეციალური ჯილდო: საუკეთესო შედეგისათვის ოსტატების წინააღმდეგ (3,5 ქულა 6-დან), პირველთანრიგოსნებს შორის მეტი გამარჯვებისათვის (მან მოიგო 8 პარტია) და უკანასკნელ ხუთ ტურში საუკეთესო შედეგისათვის (4 ქულა 5-დან), რომელიც ოსტატ კ. ზვორიკინასთან გაიყო.

კაკაბაძის პარტიები ალსავსეა შემოქმედებითი ძიებით, ღრმა კომბინაციური მოტივებით. საინტერესოა, რომ დნეპროპეტროვსკში მასზე ამბობდნენ: როდესაც კაკაბაძე თამაშობს, ცალ თვალს მოწინააღმდეგის მეფეს არ აშორებს და ყოველ ხელსაყრელ მომენტში თავს ესხმისო. მისი შესანიშნავად, მძაფრი იერიშით მოგებული პარტიები ოსტატ ვოიცეკსა და ესტერკინასთან, რომლებიც გადაეცა ყიურს ლამაზი პარტიისათვის, ალბათ, სპეციალურ ჯილდოს დაიმსახურებენ. რასაკვირველია, კაკაბაძის შედეგი უფრო მაღალი იქნებოდა, რომ მას სრულიად მოგებულ პოზიციებში კ. ზვორიკინასთან და ო. ივნატიევასთან უხეში შეცდომებით არ დაეკარგა სულ ცოტა 1,5 ქულა.

ბევრს მოველოდით ნ. გაფრინდაშვილისაგან. ცალკეული პარტიები მან თავის შესაძლებლობათა ნაკლები ძალით ითამაშა. მაგრამ რუდენკოსთან, კაცკოვასთან, მატვეევასთან პარტიებში მან მთლიანად გამოავლინა თავისი დიდი საჭადრაკო ნიჭი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნონა ისე, როგორც მ. ტოგონიძე პირველად მონაწილეობდა ესოდენ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში, მისი სპორტული შედეგები (VII-VIII IX ადგილების გაყოფა) არც ისე ცუდია.

მ. ტოგონიძე პოზიციური სტილის მოთამაშეა. ამიტომ მისი შემოქმედება ნელა, მაგრამ მტკიცედ ვითარდება. მან ტურნირში თავისი „მშვიდობისმოყვარეობით“ რამდენიმე ქულა დაჰკარგა. მაგალითად, კოლოტისთან ის შეთანხმდა ყაიმზე იმ პოზიციაში, სადაც მას მოგების რეალური შანსები ჰქონდა. ვიმედოვნებ, რომ მომავალ ჩემპიონატში ნონა და მანანა უფრო მაღალ სპორტულ და შემოქმედებით წარმატებას მიაღწევენ.

სამივე ქართველი მოჭადრაკე შეყვანილია საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში.

დასასრულს არ შემიძლია არ აღვნიშნო ის სიმპათიები და გულკეთილობა, რომელსაც ადგილობრივ მშრომელებთან ერთად ჩვენდამი იჩენდნენ დნეპროპეტროვსკში მყოფი ქართველები. შეჯიბრების დამთავრებისას ინჟინერმა ნ. მგელაძემ ძვირფასი სუვენირები მიართვა ჩვენს ქალიშვილებს.

• • •

სურათზე: ე. კაკაბაძე.

# გაფრინდაშვილი—რუდენკო

ფილიდორის დაცვა

1. e4 e5 2. მf3 d6 3. d4 მd7 4. კc4 c6 5. მg5 (გაფრინდაშვილი ირჩევს ბრძოლის მწვავე გაგრძელებას f7 უჯრაზე უშუალო დაცემით იგი მტკიცედ ეუფლება ინიციატივას). 5. ... მh6 6. a4 ლf6 (არ შეიძლებოდა 6. ... კe7 7. კ:f7+ მ:f7 8. მe6 ლb6 9. a5 ლაზიერის დაჭერის გამო. ახლა მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს სურს ლაზიერის დახმარებით შეაჩეროს თეთრების შეტევა, მაგრამ ამას აქვს არსებითი ნაკლი, რომელსაც ნორჩი მოჭადრაკე იყენებს: ლაზიერი თვითონ ხდება დაცემის ობიექტი, რაც უფრო აღვივებს თეთრების აქტივობას). 7. c3 კe7 8. 0—0 ლg6 9. f4 (თეთრები ამით შეუდგნენ განვითარებაში უპირატესობის გამოყენებას) 9. ... ef (არ შეიძლებოდა 9. ... კ:g5 10. fg და 11. კ:f7+ გამო) 10. მh3 მf6 11. მ:f4 ლg4 12. კe2 ლd7 (ასეთი ბოლო იყო მოსალოდნელი. გაფრინდაშვილი შავების პოზიციაში ახალ სისუსტეებს ჰქმნის) 13. მh5 მ:h5 14. კ:h5 g6 15. კ:h6 gh 16. ლ:h5



a b c d e f g h

გაფრინდაშვილმა მოიგო პაიკი. ამასთან მისი პოზიციაც მოსაგებია, შემდგომში ნიჭიერი გოგონა პარტიის ტექნიკურ ნაწილს (უპირატესობის რეალიზაციას) მახვილგონიერად ატარებს. 16. ... კf8 17. მd2 ლe6 18. კ:f8 მფ:f8 19. e5! (თეთრები ხსნიან ხაზებს, რათა ეტლებმა ქმედითი მონაწილეობა მიიღონ თამაშში) 19. ... de 20. ეae1 ლg6 21. ლ:e5 ეg8 22. ლe7+ მფg7 23. მe4 მფh8 24. ლe5+ ეg7 25. g3 ლe6 26. ლh5 ლg6 27. ლe5 ლe6 28. ლc7 f5 29. ლd8+ ეg8 30. ლf6+ ლ:f6 31. მ:f6 ეf8 32. მh5! კd7 33. ეe7 ეad8 34. ეfe1 ეde8 35. მფf2 ეed8 36. ეg7 ეg3 37. ე:g8+ მფ:g8 38. ეe7 კc8 39. მf6+ და შავები დანებდნენ 49-ე სვლაზე.

# წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის მკითხველები გვატყობინებდნენ, რომ სამტრედიაში საჭადრაკო სექცია სუსტად მუშაობს, სისტემატურად არ ეწყობა შეჯიბრებები და სხვ.

როგორც საქართველოს ალკკ სამტრედიის რაიკომიდან გვატყობინებენ, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ბიურომ დაავალა პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებს, სპორტსაზოგადოებებს ჩამოაყალიბონ ჭადრაკის სექციები, გამოყონ ხელმძღვანელები და უზრუნველყონ ნორმალური მუშაობა.

# ტურისტის თვალით

მე, როგორც საბჭოთა ტურისტს, საშუალება მომეცა საკუთარი თვალით მენახა ის წარმატებანი, რომლებიც პოლონელმა მშრომელებმა მოიპოვეს სახალხო ხელისუფლების წლებში. პოლონეთში მოგზაურობა ვარშავის გაცნობით დავიწყეთ. ვარშავა ულამაზესი ქალაქია და, როცა ახლა მის შესანიშნავ არქიტექტურულ ანსამბლებს ეცნობით, თითქოს კიდეც არ გჯერათ, რომ იგი გერმანელი ოკუპანტების მიერ ნგრევისა და განადგურების შემდეგ ფერფლიდან აღადგინეს პოლონელმა მშრომელებმა.

კომფორტაბელურ ავტობუსს ჩვენ ათი წლისთავის სახელობის სტადიონისაკენ მივყავართ. სტადიონი ერთიაროუსიანია და 71 ათას მაყურებელს იტევს. იგი პოლონელმა მშრომელებმა ათ თვეში ააშენეს. ამ სტადიონზე უთამაშნიათ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს, ასობით საბჭოთა სპორტსმენს დაუცავს მშობლიური სპორტის ღირსება ამხანაგური თამაშების დროს.

პოლონეთის ყოველ საწარმოში, დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია სპორტული კლუბები. ფიზიკურ აღზრდას ფართო ადგილი აქვს დათმობილი საშუალო სკოლების სასწავლო პროგრამაში. ამის შედეგად განუხრელად იზრდება სპორტში მომეცადინეთა რიცხვი. მაღლდება პოლონელ სპორტსმენთა ტექნიკური მაჩვენებლები. რესპუბლიკაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სათხილამურო სპორტი, მძლეოსნობა, ცურვა, ფარიკაობა, კრივი, ფეხბურთი. მსოფლიოს მოწინავეთა რიგებში დგანან პოლონელი მლაწნერისტები, რომლებსაც რამდენიმე მსოფლიო რეკორდი ეკუთვნით.

ერთხელ მატარებლით კრაკოვში მივემგზავრებოდი. ვაგონში გავიცანი პოლონელი ინჟინერი. სიტყვა სპორტზე ჩამოვაგდეთ. ჩემი თანამოსაუბრე აღტაცებით ლაპარაკობდა თბილისის „დინამოზე", განსაკუთრებით აქებდა ა. ღოღობერიძისა და ვ. მარღანიას თამაშს (მან გვარები შეუცდომლად დაასახელა).





პოლონეთში ყოფნის დროს ვიყავი განთქმულ სათხილამურო ბაზაში — ზაკოპანაში, რომელიც მდებარეობს მაღალი მთების ტატრების ძირში, ტატრები მთის ბუნების მარგალიტია და საუცხოო პირობებია სათხილამურო სპორტის, ალპინიზმისა და ტურიზმის განვითარებისათვის. საბაგირო გზას ჩვენ თითქმის 2.000 მეტრის სიმაღლემდე ავყავართ. ტატრების პეიზაჟი თანდათანობით იცვლება, წიწვოვანი ტყეების შემდეგ იწყება ალპური ზონა, ხოლო უფრო მაღლა ტატრების მწვერვალებს თოვლის თეთრი საფარველი აფენია. საგულისხმოა, რომ ეს ადგილი ძალზე წააგავს ბაკურიანის მიდამოებს.

**გ. ვახტანგაძე**

* * *

**სურათზე:** მარცხნიდან — ქართველი სტუდენტები ათი წლისთავის სახელობის სტადიონზე, საბაგირო ვაგონეტი მიემგზავრება მწვერვალისაკენ.

## რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

### წითელწყარო

რაიონის სტადიონზე ჩატარდა შეჯიბრება ფეხბურთში გაზეთ „ახალი შირაქის" თასზე, რომელშიც მონაწილეობდნენ სოფლის ფეხბურთელთა გუნდები. ფინალში მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის გუნდმა ანგარიშით 3:2 დაამარცხა ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელები და მოიპოვა თასი.

წითელწყაროს, სოფელ არბოშიკისა და ზემომაჩხაანის საშუალო სკოლებში ჩატარდა შიდასაკოლექტივო პირველობები ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ჭადრაკსა და შაშში.

ზემომაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კლუბში მოეწყო საკოლმეურნეო პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდა სოფლის 32 მოჭიდავე. გამარჯვებული სპორტსმენები კოლმეურნეობის გამგეობამ დააჯილდოვა ფასიანი საჩუქრებით.

**მ. ჯანყარაშვილი**

### ლანჩხუთი

წელს პირველად ჩატარდა რაიონული პირველობა კალათბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „კოლმეურნის", 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლებისა და პიონერთა სახლის კალათბურთელები. ყველა შეხვედრა მოიგეს და ჩემპიონები გახდნენ „კოლმეურნის" სპორტსმენები, მეორე ადგილზე გამოვიდნენ მე-2 საშუალო სკოლის კალათბურთელები.

**ზ. სარჯველაძე**




## კონსტიტუციის თასზე

დამთავრდა თბილისის ფეხბურთელთა გუნდების ტურნირი კონსტიტუციის სახელობის თასზე.

შეჯიბრება ჩატარდა ეტაპური სისტემით — თამაშები დაიწყო მესამე ჯგუფის გუნდებს შორის, შემდეგ კი მასში ერთვოდნენ მეორე და პირველი კატეგორიის გუნდები.

ნახევარფინალურ მატჩებში ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელებმა დაამარცხეს 26 კომ. საზ. ქარხნის გუნდი — 2:1, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და თფიცერთა სახლის გუნდების შეხვედრა დამთავრდა სტუდენტთა გამარჯვებით — 3:2. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ფიზკულტურისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების გუნდები. მიუხედავად დამატებითი დროისა, პირველ ფინალურ მატჩს გამარჯვებული არ გამოუვლენია — 2:2. განმეორებითი შეხვედრა მოიგო ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა — 2:0, რომელსაც გადაეცა კონსტიტუციის სახელობის თასი.

საქართველოს ქალაქებისა და რაიონების 7 საუკეთესო გუნდი მონაწილეობდა კონსტიტუციის სახელობის თასის რესპუბლიკურ გათამაშებაში.

რუსთავში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მეტალურგი" და თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი. მატჩი მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 4:1. რუსთავის „ბურევესტნიკის" გამარჯვებით დამთავრდა შეხვედრა სამტრედიის „ლოკომოტივთან"—4:0.

ნახევარფინალურ მატჩში რუსთავის „ბურევესტნიკმა" თავის მინდორზე მიიღო საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი და დაამარცხა იგი ანგარიშით 2:1. მეორე ნახევარფინალური მატჩი ჩატარდა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდსა და თელავის „სპარტაკს" შორის. ანგარიშით 4:0 გამარჯვება მოიპოვეს ტრამვაელებმა.

20 დეკემბერს თბილისის „დინამოს" სტადიონზე შედგა გათამაშების ფინალი. თამაშობდნენ ტტს-ი და „ბურევესტნიკი" (რუსთავი). საინტერესო შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 3:1. მატჩის დამთავრების შემდეგ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ი. ბოჭორიძემ გამარჯვებულებს გადასცა თასი.

## გამართლებული პროგნოზები

ჟურნალ „მძლეოსნობის" რედაქციამ მელბურნის ოლიმპიური თამაშების წინ თხოვნით მიმართა ევროპის ერთ-ერთ გამოჩენილ ავტორიტეტს მძლეოსნობაში, ფრანგული სპორტული გაზეთის „ეკიპის" რედაქტორს გასტონ მეიერს გამოეთქვა თავისი შეხედულებანი შესაძლებელ გამარჯვებულთა შესახებ მომავალ თამაშებზე.

მეიერმა უპირველეს ყოვლისა, გამოთქვა აზრი, რომ ევროპელ მძლეოსნებს მოელოდათ საერთო მარცხი. ამას „ეკიპის" რედაქტორი ხსნიდა იმით, რომ ოლიმპიადა ევროპელთათვის მეტად შეუჩვეველ ვადებში მოეწყო, ხოლო ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და სამხრეთ აფრიკის სპორტსმენთათვის, პირიქით, ხელსაყრელ პირობებში. კერძოდ, მოსალოდნელი იყო ამერიკელთა საერთო დიდი უპირატესობა მძლეოსნობაში.

განვიხილოთ მეიერის პროგნოზები ყოველ ცალკეულ სახეობაში და შევადაროთ ისინი სინამდვილეს — მელბურნის ოლიმპიურ შედეგებს.

— არც ერთ ევროპელს არ შეუძლია პრეტენზია განაცხადოს რომელიმე მედალზე 100 მეტრზე რბენაში, — წერს მეიერი, — ფინალში გავლენ ამერიკელები მოროუ, ბეიკერი, და მერჩისონი, ტრინიდადის წარმომადგენელი აგოსტინი, ავსტრალიელი ჰოგანი, ერთ-ერთი გერმანელი (ფიუტერერი ან გერმარი) ან კანადელი პარინგტონი.

მეიერმა ზუსტად განსაზღვრა 100 მეტრზე რბენის ფინალი. მასში მართლაც გავიდნენ მოროუ, ბეიკერი, ჰოგანი, მერჩისონი, გერმარი, აგოსტინი.

200 მეტრზე რბენის ფინალისტებად მეიერი ასახელებდა მოროუს, ბეიკერს, სტენფილდს (აშშ), აგოსტინის, ფიუტერერს ან გერმარს და სავარაუდოდ — როდრიგესს ან ფორტუნს (სამხრეთ ამერიკა) და იგნატიევს (სსრკ).

მოროუ, სტენფილდი, ბეიკერი, აგოსტინი ამ წინასწარმეტყველების თანახმად იყვნენ ფინალში და სწორედ ამ თანმიმდევრობით გამოვიდნენ პირველ ოთხ ადგილებზე. მეიერის „ნებართვის" გარეშე ფინალში მონაწილეობდნენ ტოკარევი (სსრკ) და კონსეისაო (ბრაზილია).

ძნელი არ იყო სამი ამერიკელის — ჯონსის, ლისა და ჯენკინსის დასახელება 400 მეტრზე რბენის ფინალში, მაგრამ პრობლემას წარმოადგენდა თუ ვინ დაიკავებდა მათგან პირველ ადგილს. მეიერმა ეს ზუსტად განსაზღვრა — ჯენკინსი. მისივე „რეცეპტით" ფინალში მოხვდნენ ქ. ჰაასი (გერმანია), ვ. ჰელსტენი (ფინეთი), ა. იგნატიევი (სსრ კავშირი).

რბენა 800 მეტრზე. ფრანგი სპეციალისტის აზრით ფინალში უნდა ერბინათ ამერიკელებს კურტნეის, სოუელს და სპურიერს, აგრეთვე გერმანელ ბრენერს, უნგრელ სენტგალის, ინგლისელ ჯონსონს, აგრეთვე ნორვეგიელ ბოისენს, თუ იგი მონაწილეობას მიიღებდა შეჯიბრებაში.

კურტნეიმ მართლაც მოიგო ოქროს მედალი ამ დისტანციაზე. დანარჩენი 5 ადგილი განაწილდა შემდეგნაირად — ჯონსონი, ბოისენი, სოუელი, ფარრელი (დიდი ბრიტანეთი) და სპურიერი.

„ვერც ერთ ამერიკელს ვერ ვნახავთ 1.500 მეტრზე რბენაში გამარჯვებულთა შორის". მეიერის ეს სიტყვები სავსებით გამართლდა. სტაიერულ მანძილებზე გამარჯვებულის შესახებ მეიერმა კონკრეტული აზრი ვერ გამოთქვა, მაგრამ სავარაუდო პრიზიორები მან საკმაო სიზუსტით დაასახელა — ვ. კუცი (სსრკ), გ. პირი, დ. იბოტსონი (ინგლისი), ი. კოვაჩი (უნგრეთი), ლოურენსი (ავსტრალია).

შეუცდომლად განსაზღვრა მეიერმა სამი პირველი ადგილი თარჯრბენში. ესენი არიან ამერიკელები კალჰაუნი, დევისი და შენკლი (110 მ) და დევისი, საუტერნი და კალბრიტი (400 მ).

მაღლა ხტომაში ვაჟთა შორის ეჭვს არ იწვევდა მსოფლიო რეკორდსმენის გორდიენის (აშშ) გამარჯვება. მიუხედავად იმისა, რომ მან ერთ-ერთ წვრთნაზე მუხლი დაიზიანა უმეტესობას მიაჩნდა, რომ გორდიენს უეჭველად „ჯიბეში ედო" ოქროს მედალი. მეიერის პროგნოზით კი ეს სახეობა უნდა მოეგო ამერიკელ ორტერს. ეს პროგნოზიც გამართლდა.

შედარებით ნაკლები სიზუსტით გამართლდა მეიერის პროგნოზები ქალთა მიმართ. მართალია, მან სწორად განსაზღვრა ავსტრალიელთა გამარჯვება 100, 200 მეტრზე რბენაში, თარჯრბენში და ამანათრბენში 4×100 მეტრზე (ბ. კატბერტი, შ. დე ლი ჰანტი-სტრიკლენდი და ავსტრალიის ნაკრები), მაგრამ მას მხედველობაში არ მიუღია ამერიკელი ზანგი მ. მაკდანიელი, რომელმაც ახალი მსოფლიო რეკორდით მოიგო პირველობა. გარდა ამისა, მისი აზრით საბჭოთა სპორტსმენები მოიგებდნენ ბადრის ტყორცნას და წააგებდნენ შუბის ტყორცნას. მოხდა კი პირიქით. ბადრის ტყორცნაში საუკეთესო იყო ო. ფიკოტოვა (ჩეხოსლოვაკია), ხოლო შუბის ტყორცნაში — ი. იაუნზემე (სსრ კავშირი).

## 11 ახალი რეკორდი

ამას წინათ სამტრედიაში მოეწყო „ლოკომოტივის" ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ძალოსნობაში, რომელშიც მონაწილეობდა 4 გუნდი: თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კოლექტივი, ერევნის ორი გუნდი და სამტრედიის სპორტსმენები.

ორდღიანი ბრძოლის შედეგად პირველი ადგილი დაიკავეს თბილისელმა ძალოსნებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ერევნის პირველი გუნდი, ხოლო მესამეზე — სამტრედიის ძალოსანთა კოლექტივი. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ რ. ხაჩატურიანი, ვ. გარდიანი (ორივე ერევანი), ვ. ასლანიძე (სამტრედია), გ. მიმინოშვილი (თბილისი), ფ. არუთინიანი (ერევანი), ვ. საფაროვი, მ. კვინიკაძე (ორივე თბილისი).

შეჯიბრების პროცესში დამყარებულ იქნა „ლოკომოტივის" ამიერკავკასიის საგზაო საბჭოს 11 რეკორდი.

**ს. ზელაძე,**
გათამაშების მთავარი მსაჯი.

## მანასლუს დაპყრობა

ინდოეთის ერთ-ერთმა ჟურნალმა გამოაქვეყნა ცნობა იაპონელთა ჰიმალაის ექსპედიციის წარმატების შესახებ. ალპინისტების ჯგუფმა, რომელსაც წინ მიუძღოდა 62 წლის მოხუცი სპორტსმენი მაკი, მოახდინა ასვლა მსოფლიოს ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალზე — მანასლუზე (8.130 მეტრი).

იაპონელმა ალპინისტებმა ორჯერ ცადეს ამ ძნელადდასაპყრობ მწვერვალზე ასვლა. პირველად 1953 წლის მაისში მათ მიაღწიეს 7.500 მეტრ სიმაღლეს, მაგრამ უამინდობის გამო იძულებულნი გახდნენ უკან დაშვებულიყვნენ. ერთი წლის შემდეგ მათ გაიმეორეს ცდა, მაგრამ იგიც უშედეგო გამოდგა.

მესამე ექსპედიცია კატმანდუდან მიმდინარე წლის 11 მარტს გავიდა. 9 მაისს ექსპედიციის გამყოლმა შერპმა ჯიალტსენმა იაპონიისა და ნეპალის ალამი აღმართა მანასლუს მწვერვალზე.

**რედაქტორი ი. უზულავა**


გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, 3-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.
პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 06398